საგამოცდო ინსტრუქტაჟი

ზოგადი მითითებები

მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდის (შემდგომში - გამოცდა) ჩაბარების მსურველთა (შემდგომში - გამოსაცდელი) მიერ მკაცრად უნდა იქნეს დაცული ქვემოთ ჩამოთვლილი მითითებები საგამოცდო პროცესის ყველა ეტაპზე.

გამოსაცდელებმა პატივი უნდა სცენ ერთმანეთს და საგამოცდო პროცესის დამკვირვებლებს (შემდგომში - დამკვირვებელი), გაუფრთხილდნენ საგამოცდო ინვენტარს და დაიცვან დადგენილი წესები.

წამოჭრილი პრობლემის მოგვარების მიზნით, გამოსაცდელმა უნდა მიმართოს დამკვირვებელს და დაელოდოს ინსტრუქციებს. ამასთან, პრეტენზია/თხოვნა დასაშვებია მხოლოდ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

დავალებაში შინაარსობრივი ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში დამკვირვებელი არ არის უფლებამოსილი დაეხმაროს გამოსაცდელს. ასეთ შემთხვევაში გამოსაცდელს შეუძლია წერილობით მიმართოს საგამოცდო კომისიის საპრეტენზიო ჯგუფს, გამოცდის შედეგების გამოცხადების შემდეგ.

საგამოცდო დარბაზში გამოსაცდელს მოეთხოვება გულისხმიერება სხვა გამოსაცდელების მიმართ. საგამოცდო სივრცეში სკამის ხშირი მოძრაობა, პირადი ნივთებით ხმაური, მძიმე ნაბიჯებით სიარული (დარბაზის დატოვებისას), საუბარი და ხშირი შეკითხვები დამკვირვებელთან სხვა გამოსაცდელებს ურღვევს ყურადღებას. გამოსაცდელი ვალდებულია თავი შეიკავოს საგამოცდო პროცესისათვის ხელისშემშლელი ქმედებებისაგან.

აკრძალულია სამუშაო ადგილის უნებართვოდ დაკავება და დატოვება. საგამოცდო დარბაზის დატოვება შესაძლებელია მხოლოდ სველი წერტილით სარგებლობის მიზნით, მაქსიმუმ 2-ჯერ.

გამოსაცდელის მიერ წესის დარღვევის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის მიერ სპეციალურად განსაზღვრულ პირებს, რომლებიც გაატარებენ დარღვევის სიმძიმის შესაბამის ღონისძიებებს (გაფრთხილება/დარბაზიდან გაძევება).

საგამოცდო დარბაზში ნივთების შეტანა, რომლებიც არ არის „დასაშვები ნივთების“ ჩამონათვალში, შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად განსაზღვრული პირებისათვის წინასწარი წერილობითი მიმართვის საფუძველზე გაცემული თანხმობის შემთხვევაში.

ასევე, წერილობით უნდა ეცნობოს საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს შშმ პირის გამოცდაში მონაწილეობის შესახებ, რათა შეიქმნას ასეთი პირისათვის შესაბამისი პირობები/გარემო.

საგამოცდო ცენტრის მთელ ტერიტორიაზე იკრძალება თამბაქოს მოწევა, ასევე, ელექტრონული სიგარეტის მოხმარება.

საგამოცდო დარბაზში უზრუნველყოფილია გამოცდის მიმდინარეობაზე დაკვირვება ვიდეოაღჭურვილობის მეშვეობით.

დასაშვები ნივთები

საგამოცდო დარბაზში შესვლამდე გამოსაცდელი ვალდებულია გაიაროს შემოწმება.

გამოცდის დროს გამოსაცდელი ვალდებულია თან იქონიოს:
1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი
2. გამოცდის კოდი, რომელიც გამოსაცდელმა უნდა ამობეჭდოს ან ამოიწეროს აპლიკანტის პორტალიდან. ფურცელზე, რომელზეც მითითებული იქნება გამოცდის კოდი, არ უნდა იყოს სხვა სახის წარწერები.

გამოსაცდელს უფლება აქვს გამოცდის დროს იქონიოს:
1. მხედველობის სათვალე.
2. ყურის საცობები.
3. მაჯის საათი, გარდა ციფრული (სმარტი) საათისა.
4. გასაღები.
5. მედიკამენტები.
6. ჰიგიენური ნივთები.
7. ორთოპედიული ბალიში.
8. შშმ პირისათვის გამოსაყენებელი ნივთები.
9. წყალი, 0.5 ზომის შეფუთვით.

აკრძალული ნივთები

გამოსაცდელს ეკრძალება გამოცდის დროს იქონიოს:
1. ქუდი, კეპი ან სხვა ტიპის თავსაბურავი, გარდა რელიგიური ნიშნით გამართლებული გამონაკლისისა.
2. ჩანთა, დიდი ზომის საფულე.
3. ციფრული (სმარტი) საათი.
4. საღეჭი რეზინი.
5. საკვები პროდუქტები, გარდა შოკოლადისა მაქსიმუმ 20x10-ზე შეფუთვით.
6. მობილური ტელეფონი ან სხვა სახის საკომუნიკაციო ან აუდიო საშუალება.
7. ლეპტოპი ან მსგავსი დანიშნულების ტექნიკური საშუალება.
8. ნორმატიული აქტები, კანონთა კომენტარები, სახელმძღვანელოები ან სხვა ანალოგიური მასალა.

თუ საგამოცდო დარბაზში შესვლისას გამოსაცდელს თან ექნება ნივთები, რომელთა შეტანა დაუშვებელია საგამოცდო დარბაზში, გამოსაცდელი იძულებული იქნება ეს ნივთები დატოვოს საგამოცდო სივრცის გარეთ, საკუთარი რისკით. საგამოცდო კომისია არ იღებს პასუხისმგებლობას ამ ნივთების შენახვაზე.

გამოცდის მიმდინარეობა

გამოსაცდელი ვალდებულია გამოცხადდეს გამოცდაზე რეგისტრაციისათვის 8:00 საათზე. გამოცდა დაიწყება 9:00 საათზე. დაგვიანებული გამოსაცდელი გამოცდაზე არ დაიშვება.

გამოსაცდელი უნდა გამოცხადდეს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტითა და გამოცდის კოდით. პირი, რომელსაც არ ექნება აღნიშნული დოკუმენტები, გამოცდაზე არ დაიშვება.

გამოსაცდელმა თან არ უნდა იქონიოს ნივთები, რომელთა შეტანა აკრძალულია საგამოცდო დარბაზში.

საგამოცდო დარბაზში შესვლის წინ დამკვირვებელი განახორციელებს პირის იდენტიფიცირებას მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე და შეამოწმებს მის ნივთებს.

დარბაზში შესვლის წინ გამოსაცდელი მიიღებს ადგილის ბარათს ადგილის ნომრის აღნიშვნით, რომლის შესაბამისად დაიკავებს ადგილს საგამოცდო დარბაზში.

ადგილის დაკავების შემდეგ გამოსაცდელმა ელექტრონულ სისტემაში უნდა შეიყვანოს გამოცდის პირადი კოდი და დაელოდოს საგამოცდო დროის დაწყებას.

გამოსაცდელს უფლება აქვს დატოვოს დარბაზი მხოლოდ დამკვირვებელთან წინასწარი შეთანხმებით. დარბაზის დატოვებამდე დამკვირვებელი შეამოწმებს მის სამუშაო კომპიუტერს და გადაიყვანს შესაბამის რეჟიმში. დარბაზის დატოვების დროს საგამოცდო დროის შეჩერება არ მოხდება. ადგილის მიტოვება გამოცდის დასრულების შესახებ ბოლო გაფრთხილების მიცემის შემდეგ დაუშვებელია.

<u>მითითებები საგამოცდო ტესტის თაობაზე</u>

ტესტური გამოცდა ტარდება ელექტრონული სისტემის საშუალებით. საგამოცდო ტესტი შეიცავს საკვალიფიკაციო გამოცდისათვის გათვალისწინებული სამართლის შესაბამისი დარგების მიხედვით შედგენილ 100 არჩევით პასუხიან დავალებას. საგამოცდო დავალებების საერთო რაოდენობის 20%-ს შეადგენს რთული, 65%-ს საშუალო, ხოლო 15%-ს მარტივი კატეგორიის დავალება. დავალების ყოველ საკითხი შედგენა ორი ნაწილის - პირობისა და 4 სავარაუდო პასუხისაგან.

ტესტში დავალებები დალაგებულია დარგების მიხედვით, ხოლო დარგის შიგნით სირთულის მიხედვით (მარტივიდან რთულისკენ).

გამოსაცდელმა უნდა აღნიშნოს მხოლოდ 1 სწორი პასუხი და დააჭიროს ღილაკს „შემდეგი“, რათა გამოჩნდეს მომდევნო კითხვა. გაცემული პასუხი ავტომატურად გამწვანდება. თუ

გამოსაცდელი არ არის დარწმუნებული პასუხის სისწორეში, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ღილაკი „მონიშვნა“, დავალება ავტომატურად მოინიშნება და მიიღებს ყვითელ ფერს. ასეთი მონიშვნით გამოსაცდელი შეძლებს ადვილად დაუბრუნდეს მისთვის საინტერესო დავალებას. თუ გამოსაცდელი დავალებას გაეცნობა, მაგრამ არ მონიშნავს არცერთ პასუხს, სისტემა ამ დავალებას აძლევს თეთრ ფერს. ელექტრონულ სისტემაში აღნიშნული ნებისმიერი ფერის პასუხი გამოცდის საბოლოოდ დასრულებამდე შესაძლებელია შეიცვალოს გამოსაცდელის სურვილისამებრ.

გამოცდის ჩასაბარებლად გამოსაცდელს ეძლევა 5 საათი. გამოსაცდელები მიიღებენ გაფრთხილებას საგამოცდო დროის ამოწურვის შესახებ ორჯერ - 30 წუთით ადრე და 15 წუთით ადრე. ამასთან, ელექტრონულ სისტემაში სამუშაო გვერდის ზედა მარჯვენა მხარეს გამოსაცდელს საშუალება აქვს აკონტროლოს დრო. სისტემა მუდმივად განახლებულ რეჟიმში აჩვენებს დარჩენილ დროს. დროის ამოწურვის შემდეგ ელექტრონული სისტემა ავტომატურად ხურავს გამოსაცდელის გვერდს და აფიქსირებს და აფასებს იმ პასუხებს, რომლის აღნიშვნაც მოახდინა გამოსაცდელმა (მწვანე და ყვითელი ფერის დავალებები).

ყოველ დავალებაზე სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით, არასწორი პასუხი - 0 ქულით. თუ არც ერთი პასუხი არ არის მონიშნული (თეთრი ფერის დავალებები), დავალების ამოხსნა შეფასდება 0 ქულით.

გამოსაცდელი, რომელიც დააგროვებს 75 ან მეტ ქულას, გადის შემდეგ ეტაპზე და მას უფლება აქვს ჩააბაროს წერითი გამოცდა.

ტესტური გამოცდის პასუხები მოწმდება ელექტრონული სისტემის საშუალებით და გამოცდის დასრულებისთანავე ხდება ცნობილი გამოსაცდელისათვის. გამოსაცდელს გადაეცემა ტესტური გამოცდის პასუხების ფურცლის დამოწმებული ეგზემპლარი.

ტესტური გამოცდის შედეგების გადასინჯვა შესაძლებელი იქნება წერილობითი განცხადების (პრეტენზიის) საფუძველზე, იმ შემთხვევაში თუ გამოსაცდელი დააგროვებს სულ ცოტა 70 ქულას. პრეტენზიის მიღება შესაძლებელი იქნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენობაში 2 დღის ვადაში. განცხადება კომისიისათვის წარდგენილი იქნება ელექტრონული ფორმით.

საგამოცდო დარბაზის გარემო

საგამოცდო კომისია ეცადა შერჩეული ყოფილიყო კომფორტული საგამოცდო დარბაზი.

გამოცდის მიმდინარეობისას დამკვირვებლები უზრუნველყოფენ გამოცდის ჩატარებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგჯერ მოვლენები ობიექტურად არ ექვემდებარებიან კონტროლს. შესაძლოა ტექნიკურმა შეფერხებამ, საგამოცდო ცენტრში არსებული აპარატურის ხმაურმა ან ტემპერატურის ცვლილებამ, ასევე, გამოსაცდელისა და მისი ნივთების შემოწმებამ გარკვეული დისკომფორტი გამოიწვიოს.

გამოსაცდელი მზად უნდა იყოს ასეთი შემთხვევებისათვის. გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს შესაბამისი პირები ეცდებიან სწრაფად მოგვარდეს პრობლემა და შენარჩუნდეს საგამოცდო დარბაზში მშვიდი და კეთილგანწყობილი გარემო.